პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

შაბათი, 12 თებერვალი, 1949 წ. № 31 (8334). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

უხვი მოსავლისათვის 1949 წელს! — „პრავდის“ 10/II მოწინავე (1-ლი გვერდი).
მოსკოვის IX საოლქო და VIII საქალაქო გაერთიანებული პარტიული კონფერენციის მისალმება ამხანაგ სტალინისადმი (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების შედეგების შესახებ (1-ლი გვერდი).
თბილისის მრეწველობის იანვრის მუშაობის შედეგები (1-ლი გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობა—კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო (მე-2 გვერდი).
გავაჩაღოთ ბრძოლა საბრუნავ საშუალებათა უკეთესად გამოყენებისათვის! (მე-3 გვერდი).
ბ. გუჯეჯიანი — ალვზარდოთ მეშახტეთა მუდმივი კადრები (მე-3 გვერდი).
საბჭოთა მშენებლობა (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

უხვი მოსავლისათვის 1949 წელს!

სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელებმა წარმატებით დაამთავრეს გასული სასოფლო-სამეურნეო წელი და აჩაღებენ თავდადებულ ბრძოლას მიმდინარე წელს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალ-ახალი უფრო სახახელო წარმატებისათვის. პარტიამ და მთავრობამ ამომწურავი სიცხადით განსაზღვრეს ამ ბრძოლის ძირითადი მიმართულებანი. სოფლად სოციალისტური მშენებლობის მთავარი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო არტელის შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება და კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი საკუთრების გამრავლება. მიწათმოქმედების დარგში მთავარი ამოცანაა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ყოველმხრივ ამაღლება, ტექნიკური კულტურების, განსაკუთრებით ბამბის, შაქრის ჭარხლის, საბოჭკოე სელის, კანაფის წარმოების, აგრეთვე მრავალწლიანი ბალახების თესლის წარმოების გადიდება. ამავე დროს დიდი მუშაობა უნდა ჩატარდეს მინდორსაცავი ტყეების გაშენების, ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვის, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის გეგმის განსახორციელებლად.

ახალი ამოცანების გადაჭრას სოციალისტური სოფლის მეურნეობა მთელი ძალებითა და საშუალებებით აღჭურვილი იწყებს. პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები შესამჩნევად განმტკიცდნენ ორგანიზაციულ-სამეურნეო თვალსაზრისით. საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დახმარების მეოხებით მნიშვნელოვნად გაძლიერდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გაიზარდნენ, უფრო მრავალრიცხოვანი გახდნენ ჩვენი მიწათმოქმედების კადრები. მათს განკარგულებაშია მოწინავე აგრონომიული მეცნიერების მიღწევები. მთავარი ახლა ის არის, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები დროულად და ყოველმხრივ მოემზადონ მომავალი მინდვრის სამუშაოებისათვის, ორგანიზებულად ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა და, ამრიგად, უზრუნველყონ უხვი მოსავლის მიღება.

როგორც ცხადყოფს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა, საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მზადება წელს შარშანდელზე უკეთესად მიმდინარეობს. კოლმეურნეები გულდასმით ამზადებენ გაზაფხულისათვის თესლს, ინვენტარს, ცოცხალ გამწევ ძალას, სასუქს. მეტმა წილმა კოლმეურნეობებმა უკვე სავსებით უზრუნველყვეს თავი საგაზაფხულო თესვის მთელი ფართობისთვის საჭირო თესლით. 1 თებერვლისათვის კოლმეურნეობებმა შეაკეთეს ცხენის გუთნების, სათესი მანქანების, კულტივატორების ნახევარზე მეტი. ბევრ კოლმეურნეობაში ცოცხალი გამწევი ძალა კარგ და დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. საკოლმეურნეო მინდვრებზე გატანილია 30 მილიონზე მეტი ტონა ნაკელი, ე. ი. 5,7 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე შარშან. თოვლის შეკავება ჩატარდა ფართობზე, რომელიც ერთისამად აღემატება შარშანდელს. ფართოდ გაჩაღდა გაზაფხულისათვის საკოლმეურნეო კადრების მომზადება.

საგაზაფხულო თესვას გასულ წლებზე უფრო აღჭურვილი იწყებენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. ტრაქტორების რაოდენობა 15-ძალიანი გამოანგარიშებით 1948 წლის გაზაფხულთან შედარებით 17 პროცენტით დიდდება, გუთნებისა—11 პროცენტით, კულტივატორებისა — 19 პროცენტით, სათესი მანქანებისა—20 პროცენტით. 1 თებერვლისათვის ტრაქტორების ავტუმოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმა მტს-ებში შესრულებულია 66 პროცენტით. შარშანდელზე უფრო სწრაფად შეაქვთ მტს-ებში საწვავი. მექანიზაციის სკოლებში და მტს-ებთან არსებულ კურსებზე 174 ათასი ტრაქტორისტი სწავლობს. შარშანდელზე გაცილებით უკეთ მიმდინარეობს გაზაფხულისათვის მზადება საბჭოთა მეურნეობებშიც.

ეჭვს გარეშეა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გაზაფხულისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალ აღმავლობას გამოიწვევს ჩვენს სოფელში. იგი კვლავ და კვლავ ცხადყოფს, თუ რა უხვ ნაყოფს იძლევა ჩვენს ქვეყანაში გაწეული უდიდესი მუშაობა სოფლის მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის, როგორ იზრდებიან, ახალ ძალებს იკრებენ და მტკიცედ მიდიან წინ ჩვენი კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები. მთელი საბჭოთა ხალხის სასიხარულოდ წარმატებით წყდება სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა — ჩვენს ქვეყანაში სურსათის სიუხვის შექმნის ამოცანა.

სოფლის მეურნეობის შესახებ პარტიისა და მთავრობის მთელ დადგენილებას წითელ ზოლად გასდევს სტალინური ზრუნვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის. ამ იდეით გამსჭვალულია გასული წლის ოქტომბერში მიღებული გეგმა ბუნების გარდაქმნისა. ეს იდეა უდევს საფუძვლად გუშინ გამოქვეყნებულ დადგენილებასაც. მასში აღნიშნული ყველა ღონისძიება მიმართულია ერთი მიზნისაკენ: კიდევ უფრო გადიდდეს საკოლმეურნეო წყობილების ძლიერება, უფრო ფართოდ დაინერგოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე მეცნიერების მიღწევები, უფრო ნაყოფიერად იქნას გამოყენებული კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში არსებული მთელი ძალები და საშუალებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ამასთან ერთად მკაფიოდ მოწმობს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წარმმართველ და მაორგანიზებელ როლს სოფლის მეურნეობის ომისშემდგომ აღმავლობაში. იგი ასწავლის ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს იმას, თუ როგორ უნდა შეისწავლონ ეკონომიკა, გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერება და ტექნიკა, როგორ უხელმძღვანელონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს, წარმართონ მათი განვითარება, დაეხმარონ მათ, თავიდან აიცდინონ მოსალოდნელი შეცდომები. ამ დადგენილებაში მოცემულია არა მარტო უკვე გაწეული მუშაობის შეფასება, არამედ ნათელი, ამომწურავი მითითებებიც იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს უახლოეს ხანში, რომ წარმატებით ჩატარდეს საგაზაფხულო თესვა და მოყვანილ იქნას უხვი მოსავალი.

ახალ ვითარებაში საჭიროა ახლებური ხელმძღვანელობა. პარტიის ხაზი სოფლის მეურნეობის დარგში ახლა წარმატებით შეუძლია განახორციელოს მხოლოდ იმას, ვინც დაეუფლებულია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მაღალი კულტურის საფუძვლებს, ვისაც უნარი შესწევს მოაწყოს მოწინავე მეცნიერების მიღწევათა დანერგვა საკოლმეურნეო წარმოებაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა ახლა უფრო კვალიფიციური, უფრო ღრმა უნდა იყოს. პარტია და მთავრობა თავიანთ დადგენილებებში სოფლის მეურნეობის საკითხებზე გვასწავლიან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისადმი ხელმძღვანელობის ბოლშევიკურ სტილს. საჭიროა, რომ ყველა ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელმა აამაღლოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის თავისი ხელმძღვანელი მოღვაწეობის ხარისხი.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში მცირე დრო დარჩა. არ დასჯერდნენ მიღწეულ წარმატებას, არამედ დააჩქარონ გაზაფხულისათვის მზადების ტემპი, ერთსულოვნად შეუდგნენ საგაზაფხულო თესვას — აი რა არის ამჟამად ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მტს-თა ყველა მუშაკის ამოცანა. ამისათვის საჭიროა უახლოეს დღეებშივე დამთავრდეს სოფლის მეურნეობის განვითარების 1949 წლის გეგმის გაცნობა თვითეული კოლმეურნეობისათვის, გაეწიოთ კოლმეურნეობათა გამგეობებს დახმარება არტელების წლიური საწარმოო გეგმების, აგრეთვე ბრიგადებისა და რგოლების დავალებათა შედგენაში. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა ნათესი ფართობების შეფარდების დაცვას მიღებულ თესლბრუნვასთან და თესლბრუნვის შემოღების გეგმებთან. ვორონეჟის ოლქის ლიპეცკის რაიონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თესლბრუნვის მინდვრებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა განლაგების გეგმა და ძირითად აგროტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც მოწონებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, წარმოადგენს იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა ხორციელდებოდეს დაგეგმვა კოლმეურნეობებში ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით.

დიდი მუშაობაა გასაწევი სათესლე ფონდების მოსამზადებლადაც. თესლის გამოყოფის უსწრაფესი დამთავრების გარდა, საჭიროა ყოველმხრივ დაჩქარდეს ჩვეულებრივი თესლის გადაცვლა სახელმწიფო რესურსებიდან გამოყოფილ ჯიშიან თესლზე. ნათესბალახიანი თესლბრუნვის ფართოდ დანერგვასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბალახების თესლის მომზადებას. მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვისათვის გამოყოფილია ერთნახევარჯერ მეტი მრავალწლიანი ბალახების თესლი, ვიდრე შარშან. კოლმეურნეობებს ბალახების დიდძალი თესლი მიეცათ სახელმწიფო რესურსებიდან. მიუხედავად ამისა, ბალახების თესლის მარაგი კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, და საჭიროა გადაუდებელი ღონისძიებანი, რომ იგი აყვანილ იქნას საჭირო ოდენობამდე.

გადაუდებელ ამოცანათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს მინდვრებში ნაკელის გატანა და თოვლის შეკავების სამუშაოთა გაძლიერება. საჭიროა უახლოეს დღეებში თვითეულ კოლმეურნეობას, ბრიგადასა და რგოლს მიეცეთ მინდვრად ნაკელისა და ტორფის გატანის, ნაცრისა და სხვა ადგილობრივი სასუქის შეგროვების დავალება, აგრეთვე მოეწყოს თოვლისშემკავებელ დამატებით საშუალებათა განლაგება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში.

განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს თესვისათვის მზადების დამთავრება მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აქ ამოცანები იმით განისაზღვრება, რომ უზრუნველვყოთ ყველა მანქანის მაღალხარისხოვანი რემონტი მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში, გაძლიერდეს ნავთის პროდუქტების შეტანა, უფრო სწრაფად დამთავრდეს მტს-ების მიერ კოლმეურნეობებთან ხელშეკრულების დადება, გაუმჯობესდეს მუშაობა მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად და დასახელოვნებლად, განმტკიცდეს სატრაქტორო ბრიგადები.

კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში დღითი დღე ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო თესვის წარმატებით მომზადებისა და ჩატარებისათვის, 1949 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებისათვის. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სოფლად სოციალისტურ შეჯიბრებას უფრო ფართო გაქანებას მისცემს.

სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნე გლეხობის ახალ პატრიოტულ აღფრთოვანებას, ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს მათ წინაშე მდგომი ამოცანები, სოციალისტური მიწათმოქმედების მთელი ძალები და საშუალებანი გამოიყენონ გაზაფხულისათვის მზადების წარმატებით დასამთავრებლად — ასეთია ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სოფლად ყველა კომუნისტისა და კომკავშირელის ამოცანა.

„პრავდის“ 10-II მოწინავე

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-8 ტომი ლატვიურ ენაზე

რიგა. საქდესი). ლატვიის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-8 ტომი.

თარგმანი შესრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ლატვიის ფილიალმა.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მოსკოვის IX საოლქო და VIII საქალაქო გაერთიანებული პარტიული კონფერენცია მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ და ბრძენ ბელადს!

კონფერენცია შეიკრიბა საბჭოთა ხალხის უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში. ჩვენი ქვეყნის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია წარმატებით ახორციელებენ კომუნისტური საზოგადოების აშენების თქვენ მიერ გენიალურად დასახულ პროგრამას. თავიანთი ნაცადი ავანგარდის—საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)—ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში, მეცნიერებისა და კულტურის ახალ აყვავებაში. ეს შესანიშნავი მიღწევები ცხადყოფენ საბჭოთა სოციალისტური წყობილების სასიცოცხლო ძალას და უდიდეს უპირატესობებს.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

მოსკოვის ბოლშევიკები თავიანთ IX საოლქო და VIII საქალაქო გაერთიანებულ კონფერენციაზე მოვიდნენ ლენინურ - სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თქვენს, ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო და ბელადო, გარშემო ისე მჭიდროდ დარაზმულნი, როგორც არასოდეს არ ყოფილან.

კონფერენციამ შეაჯამა მოსკოვის ბოლშევიკების მიერ ცხრა წლის მანძილზე წარმოებული ბრძოლის შედეგები. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიული ორგანიზაციები წარმატებით წყვეტდნენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად თქვენ მიერ, ამხანაგო სტალინ, დასახულ რთულ და დიდ ამოცანებს.

დიდი სამამულო ომის წლებში მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ მშრომელები დარაზმა საძულველი მტრის გასანადგურებლად. ასეულ ათასობით მოსკოველი იარაღით ხელში იცავდა ჩვენი სამშობლოს ღირსებასა და თავისუფლებას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელები აგებდნენ თავდაცვის ზღუდეებს, იგერიებდნენ მტრის ავიაციის თავდასხმებს. ისინი თავდადებულად მუშაობდნენ ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, რათა სახელოვანი საბჭოთა არმიისათვის მიეცათ მეტი იარაღი, საჭურველი და სურსათი.

მოსკოველები არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ თქვენი გენიალური წინამძღოლობით, ამხანაგო სტალინ, საბჭოთა ჯარებმა ფაშისტთა ურდოებს გადაუღობეს გზა მოსკოვისაკენ, გაანადგურეს და ჩვენი სახელოვანი დედაქალაქიდან უკუაგდეს მტერი.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მოსკოვის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის დაძაბულ ბრძოლას ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმის დავალებათა განხორციელებისათვის.

უკვე 1948 წელს ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა წარმოების ომამდელ დონეს. მოსკოვის მრეწველობის მუშაკებმა გადაჭარბებით შეასრულეს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პირველი სამი წლის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 7,5 მილიარდი მანეთის პროდუქცია. ექვსასზე მეტმა საწარმომ ხუთწლიანი გეგმა წარმოების დონის მიხედვით სამ წელიწადზე ნაკლებ ხანში შეასრულა. მოსკოვის მრეწველობამ 1948 წელს სახელმწიფოს მისცა 2 მილიარდ მანეთზე მეტი ზეგეგმითი დაგროვება.

მოსკოვის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები ისწრაფვიან უფრო სრულად გამოიყენონ წარმოების რეზერვები ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი ზრდისათვის, იბრძვიან საბრუნავი სახსრების მიმოქცევის დაჩქარებისათვის, იმისათვის, რომ მრეწველობამ 1949 წელს სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის გაათავისუფლოს არანაკლებ ერთი მილიარდი მანეთისა. მოსკოვის მრეწველობის მუშაკები წარმატებით შევიდნენ ომისშემდგომი ხუთწლედის მეოთხე წელიწადში. საერთო პროდუქციის გამოშვების იანვრის გეგმა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობამ 105,3 პროცენტით შეასრულა. მიმდინარე წლის იანვარში გამოშვებულია 24,4 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე 1948 წლის იმავე თვეში. ყველა საწარმოში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გეგმის 1949 წელს შესრულებისათვის.

სერიოზული წარმატებებით მოვიდნენ კონფერენციაზე მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკები. 1948 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მარცვლეულის, კარტოფილისა და ბოსტნეულის საერთო მოსავლის მიღების მხრივ გადააჭარბეს ომამდელ დონეს. ვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა. გასულ წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფო დავალებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ყველა სახის მიხედვით.

საშეფო საწარმოებისა და დაწესებულებების დახმარებით მოსკოვის ოლქში ელექტროფიცირებულია 4.000 კოლმეურნეობა ანუ კოლმეურნეობათა 65 პროცენტი, 110 საბჭოთა მეურნეობა და ყველა მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

მოხარული ვართ გაცნობოთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ პარტიული კონფერენციის გახსნისათვის ჩვენი ოლქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა მიიღეს მოსკოვის საწარმოებში დამზადებული 1.100 ტრაქტორი და აღადგინეს ტრაქტორთა ომამდელი პარკი.

სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად მოსკოვის ბოლშევიკებმა ამოცანად დაისახეს მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობების მთლიანი ელექტროფიკაციისა და მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მანქანა-ტრაქტორთა პარკის ზრდის საფუძველზე შეიმუშაონ და განახორციელონ მემინდვრეობისა და მეცხოველეობის ყველა პროცესის კომპლექსური მექანიზაციის გენერალური გეგმა.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში. ფართოდ გაიშალა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. დაიწყო მრავალსართულიანი შენობების აგება. სწრაფი ტემპით ხორციელდება სახლების გაზიფიკაცია და თბოფიკაცია. სრული სიჩქარით მიმდინარეობს მეტროპოლიტენის მეოთხე რიგის მშენებლობა. სულ უფრო ფართო მასშტაბით ჩაღდება დედაქალაქისა და ოლქის ქალაქების კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოები. წლითიწლობით იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. ფართო მასშტაბით წარმოებს კოლმეურნეობების რადიოფიკაცია.

ახლა, მოსკოვის საქალაქო მეურნეობის ძირითადი დარგების ომამდელ დონემდე აღდგენის დამთავრებასთან დაკავშირებით, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ უახლოეს 3-4 წელში მოსკოვის საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქციის ათწლიანი გეგმის ძირითადი დავალებანი შესრულებულ იქნება, ისახება ქალაქის მშენებლობისა და გარდაქმნის ახალი დიდი ამოცანები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოსკოვის რეკონსტრუქციის ახალი, 20-25 წლისათვის ნავარაუდევი, გენერალური გეგმის შემუშავების შესახებ გამოვლინებაა პარტიის, მთავრობის და პირადად თქვენი, ამხანაგო სტალინ, უდიდესი მზრუნველობისა მოსკოვისათვის. ქალაქ მოსკოვის, მოსკოვის ოლქისა და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელები მოსკოვის რეკონსტრუქციის ახალი გენერალური გეგმის შემუშავების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ და მას უპასუხებენ ახალი შრომითი საგმირო საქმეებით ჩვენი მძლავრი სამშობლოს და მისი სახელოვანი დედაქალაქის სადიდებლად. ეს ისტორიული გადაწყვეტილება მოსკოვის ბოლშევიკებს და ყველა მოსკოველს აღაფრთოვანებს შეუპოვარი მუშაობისათვის ჩვენი მშობლიური ორდენოსანი მოსკოვის შემდგომი სოციალისტური გარდაქმნის მისაღწევად.

საანგარიშო პერიოდში მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია გაიზარდა, განამტკიცა თავისი რიგები, უფრო გაწრთობილი, ბრძოლისუნარიანი და შეჭიდროებული გახდა. გაიზარდა ფართო პარტიული მასების აქტიურობა, გადიდდა წარმოებაში კომუნისტთა ავანგარდული როლი.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ჩვენ გვახსოვს თქვენი მითითება იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის წარმატებით გადასვლა სოციალიზმიდან კომუნიზმზე დიდად არის დამოკიდებული მასების კომუნისტურ შეგნებაზე. ეს თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვს თავისი პოლიტიკური ცოდნის განუწყვეტლივ ამაღლებას, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მეცნიერების დაუფლებას. დედაქალაქისა და ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს კომუნისტთა პოლიტიკური განათლების საქმეში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც იდეოლოგიის საკითხებზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობენ, გააძლიერეს თავიანთი მუშაობა მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შორის.

მოსკოვის პარტიულმა კონფერენციამ დასახა ამოცანა—კიდევ უფრო ავამაღლოთ იდეურ-პოლიტიკური მუშაობა მშრომელთა შორის, უფრო მტკიცედ ვიბრძოლოთ ჩვენი სოციალისტური იდეოლოგიის სიწმინდისათვის, ძირმომპალი ბურჟუაზიული კულტურის გამხრწნელი გავლენის წინააღმდეგ. ჩვენი იარაღია მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ყოვლისშძლე მოძღვრება. ამ მოძღვრების დაუფლებით ჩვენ ახალ ძალებს ვიძენთ კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

კონფერენციამ დაწვრილებით განიხილა საანგარიშო პერიოდში მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის შედეგები და მოიწონა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მუშაობა.

კონფერენციამ ბოლშევიკურად გამოააშკარავა ნაკლოვანებანი და დასახა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, მასებთან მათი კავშირის გაძლიერების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის დარაზმვის გზები. კონფერენციამ თავის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით აღნიშნა პარტიული მუშაობის გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების დიდი მნიშვნელობა, რათა ეს გამოცდილება მოსკოვისა და მისი ოლქის ყველა პარტიული ორგანიზაციის კუთვნილება გავხადოთ.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

მოსკოვის 800 წლისთავთან დაკავშირებულ თქვენს მისალმებაში ჩვენს სახელოვან დედაქალაქს თქვენ ახალი საბჭოთა ეპოქის მედროშე უწოდეთ. მოსკოველები ამაყობენ ამ მაღალი შეფასებით და ფიცსა სდებენ თქვენს წინაშე, ამხანაგო სტალინ, რომ მთელ ძალებს მოახმარენ იმას, რომ მომავალშიც ღირსეულად გაამართლონ ეს შეფასება.

პარტიული კონფერენცია თქვენ და თქვენი სახით პარტიის ცენტრალურ კომიტეტს პირობას გაძლევთ, რომ მოსკოვის ბოლშევიკები არ დაზოგავენ ძალებსა და შრომას ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია უფრო მჭიდროდ დარაზმავს თავის რიგებს საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მუდამ იქნება მისი ერთგული და მტკიცე დასაყრდენი.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ლენინთან ერთად თქვენ შექმენით და გამოაწრთეთ ბოლშევიკების დიადი პარტია, ახალი ტიპის პარტია—ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი.

უდიდესმა მეცნიერმა, შემოქმედებითი მარქსიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელმა, თქვენ, ამხანაგო სტალინ, განავითარეთ და გაამდიდრეთ მარქსისტულ-ლენინური თეორია. პარტიისა და ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში თქვენ დაიცავით პარტიის ერთიანობა და მტკიცედ შეადუღეთ მისი რიგები მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით. თქვენ მაღლა ასწიეთ ლენინის დროშა, რომელსაც მთელი მსოფლიოს მშრომელები სამართლიანად უწოდებენ ლენინ-სტალინის დროშას. ამ დროშით საბჭოთა ხალხი ახალ-ახალ წარმატებას აღწევს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

სულით და გულით გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო და ბელადო, მრავალ წელს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ შრომას ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საბედნიეროდ.

გაუმარჯოს ბოლშევიკების გმირულ პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს—კომუნიზმის მშენებლობის ბოლშევიკურ შტაბს!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

მიღებულია ერთსულოვნად საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის IX საოლქო და VIII საქალაქო გაერთიანებული კონფერენციის მიერ 1949 წლის 6 თებერვალს

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების შედეგების შესახებ

შეჯამებულია საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების შედეგები. არჩევნებზე გამოცხადდა ყველა ამომრჩევლის 99,98 პროცენტი.

იმ მასალების მიხედვით, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისაგან დადგენილია, რომ საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებისას კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო ოლქების მიხედვით რეგისტრირებული ყველა ამომრჩევლის 99,96 პროცენტმა.

სახალხო მოსამართლეების კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა შეადგენს კენჭის ყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,89 პროცენტს, სახალხო მსაჯულთა კანდიდატებისათვის—99,99 პროცენტს.

არჩევნები ჩატარდა ყველა საარჩევნო ოლქში (სასამართლო უბნებში). სულ არჩეულია 153 სახალხო მოსამართლე და 11.207 სახალხო მსაჯული. ამრიგად, სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ყველა კანდიდატი არჩეული აღმოჩნდა.

სახალხო მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად არჩეულთა შორის არიან: ქალები—35,8 პროცენტი, საკ. კ. პ. (ბ) წევრები და წევრობის კანდიდატები—55,1 პროცენტი, უპარტიოები—44,9 პროცენტი.

არჩევნები ჩატარდა მშრომელთა დიდი პოლიტიკური აქტივობით. (საქდესი).

თბილისის მრეწველობის იანვრის მუშაობის შედეგები

შეჯამებულია თბილისის მრეწველობის მუშაობის 1949 წლის იანვრის მუშაობის შედეგები.

საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ქალაქის მრეწველობამ შეასრულა 102,1 პროცენტით. 1948 წლის იანვართან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება 14,2 პროცენტით გადიდდა.

საქართველოს სსრ სამინისტროების თბილისის საწარმოებმა იანვრის გეგმა შეასრულეს: კვების მრეწველობისა—109,3 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის—104,1 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობის—103,2 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტის—101,9 პროცენტით.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა გეგმა შეასრულეს 102,4 პროცენტით.

გეგმა ვერ შეასრულეს: სოციალური უზრუნველყოფის, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების საწარმოებმა. ჩამორჩნენ აგრეთვე სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის არტელები.

თბილისის საწარმოთა უმეტესობამ იანვრის გეგმა წარმატებით შეასრულა. მაგრამ საწარმოთა ერთმა ნაწილმა თავი ვერ გაართვა იანვრის გეგმას. მათ შორის არიან: ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“, ბამბის ძაფსართავი ფაბრიკა, მარმარილოს ქარხანა, მეორე სამკერვალო ფაბრიკა და სხვ.

თბილისის საწარმოებში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. მოწინავე საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, ამოცანად ისახავენ საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 28-ე წლისთავს შეხვდნენ თებერვლის გეგმის ვადამდე შესრულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობა

კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ს. მარიდაშვილის სიტყვა

(კასპის რაიონის კოლმეურნეობა „მნათობის“ მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი)

ამხანაგებო! მე მინდა ჩემი მუშაობის შესახებ მოგახსენოთ. შაქრის ჭარხლის თესვა დავიწყე 1935 წელს. მაშინ არ მქონდა ამ დარგში მუშაობის გამოცდილება და ჰექტარზე მხოლოდ 150-200 ცენტნერ ჭარხალს ვიღებდი.

დიდი სამამულო ომის წლებში, როცა ჩვენმა სამშობლომ სოფლის მეურნეობის მუშაკებს უფრო მეტი პროდუქტები მოსთხოვა, რათა დაჩქარებით გაგვენადგურებინა გერმანელი ფაშისტები, მეც გაორკეცებული ენერგიით შეეუდექი მუშაობას და ჰექტარზე 500-დან 700 ცენტნერამდე შაქრის ჭარხალი მომყავდა.

1946 წელს ამირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ასეთმა დიდმა დაფასებამ ფრთები შემასხა. ახალი ძალით დავიწყე მუშაობა და ჰექტარზე 1.021 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოვიყვანე.

ჩემს მუშაობას მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და ხელისუფლებამ და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომანიჭეს. ამან უფრო მეტად გამიძლიერა პასუხისმგებლობის გრძნობა, სურვილი და მისწრაფება — უფრო მეტი მოსავალი მომეყვანა, მეტი ჭარხალი ჩამებარებინა საყვარელი სამშობლოსთვის.

1947 წელს ვიკისრე ორი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 1.226 ცენტნერი ჭარხლის მოყვანა. ეს პირობა გავანადგდ და სახელმწიფოს ჩავაბარე 4.456 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ამასთან ერთი ჰექტარი ქერის ნათესიდან 44 ცენტნერი ქერი მივიღე, ხოლო სამი ჰექტარი სიმინდის ნათესიდან — 192 ცენტნერი სიმინდი.

ჩემს გამოცდილებას სისტემატურად ვეზიარებდი და ყოველდღიურ დახმარებას ვუწევდი სხვა რგოლის ხელმძღვანელებს, რომლებმაც უხვი მოსავალი მიიღეს, ასეთები არიან: სალომე ნატროშვილი, მარო დეისაძე, ანა ზაქარიაძე, მათიკო აბეწეაშვილი, ეფემია ჭონიაშვილი, თამარ მუნდლიშვილი და სხვები. მთლიანად კოლმეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ 625 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მივიღეთ.

ამხანაგებო! 1949 წლისათვის აღებული მაქვს ნაკვეთი, უკვე შეგასრულე ყველა წინასწარი სამუშაო, განზრახული მაქვს შაქრის ჭარხლის უფრო უხვი მოსავალი მოვიყვანო.

პირობას ვაძლევ საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობას, რომ გადავჭარბებ ამ მოსავალს, რასაც აქამდე ვიღებდი, ჩემს გამოცდილებას გავუზიარებ და დაეხმარები როგორც ჩვენი კოლმეურნეობის, ისე რაიონის სხვა კოლმეურნეობათა რგოლებს.

გაუმარჯოს ჩვენს მამას და მასწავლებელს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს! (ტაში).

ამხ. ბ. ზოდელავას სიტყვა

(საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი)

ამხანაგებო! საქართველოს კომკავშირი განუწყვეტლივ გრძნობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის დახმარებასა და ხელმძღვანელობას. საქართველოს ბოლშევიკები იდეურად აწრთობდნენ და ორგანიზაციულად რაზმავდნენ კომკავშირს.

სამამულო ომმა გვიჩვენა, თუ რა საიმედო ცვლა აღზარდა კომკავშირის სახით ბოლშევიკთა უფროსმა თაობამ.

ამქამად საქართველოს კომკავშირი, ახალგაზრდობა მთელ ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვის ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის დავალებათა ვადამდე, გადაჭარბებით შესრულებისათვის.

1948 წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა 10.000 ახალგაზრდა მუშამ, ხუთი და მეტი წლის საწარმოო ნორმა — 965 ახალგაზრდამ. ბევრ ახალგაზრდას უკვე შესრულებული აქვს 7-8 წლის დავალება. შარშან ახალგაზრდობამ დაზოგა სათბობი და საწვავი მასალა, ნედლეული, ელექტროენერგია, ლითონი და სხვ. მასალები 13 მილიონი მანეთის ღირებულებისა.

მრეწველობისა და ტრანსპორტის კომკავშირული ორგანიზაციები პირნათლად ასრულებენ საკავშირო კომკავშირის XI ყრილობის აღსანიშნავად გაწლილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებებს. სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებს — ტყვარჩელის ახალგაზრდა მეშახტეებს და თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის ახალგაზრდებს ნაკისრი ვალდებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შესრულებული აქვთ. 1949 წლის პირველი იანვრისათვის ტყვარჩელის ახალგაზრდა მეშახტეებმა გიგმის გადამეტებით 11.200 ტონა ქვანახშირი ამოიღეს. ლენინური კომკავშირის სახელობის უბანმა, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც შეიქმნა, წლიური გეგმა საქართველოს კომკავშირის XVII ყრილობის გახსნის დღისათვის — 25 დეკემბრისათვის შეასრულა. თბილისის აბრეშუმსაქმოი ფაბრიკის 24-მა ახალგაზრდულმა ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა წლიური დავალება. გასული წლის დეკემბერში ფაბრიკის ახალგაზრდებმა გეგმის გადამეტებით 20 ათასი მეტრი ქსოვილი მისცეს სამშობლოს და ამასთან დაზოგეს 5 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 12 ტონა საწვავი. ენერგიულად მუშაობენ კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნისა და დედაქალაქის სხვა მრავალ საწარმოთა, აგრეთვე ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის და ტყიბულის მუშა ახალგაზრდობა.

დიდ წარმატებებს აღწევს საქართველოს სოფლის ახალგაზრდობაც. მათ შრომას მთავრობამ უდიდესი შეფასება მისცა. 1947 წლის შედეგების მიხედვით უხვი მოსავლის მიღებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით 205 ახალგაზრდა იქნა დაჯილდოებული. 25 ახალგაზრდას, მათ შორის 22 კომკავშირელს, სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. 1948 წლის შედეგების მიხედვით რესპუბლიკაში ასობით ახალგაზრდა გვყავს მაღალ ჯილდოსა და გმირობის კანდიდატი. განსაკუთრებით ქარგ მაჩვენებლებს აღწევენ მახარაძის, ზუგდიდის, გალის, ლაგოდეხის, გურჯაანის, გორის რაიონების კოლმეურნე ახალგაზრდობა.

ამ ერთი თვის წინათ ჩატარებულმა საქართველოს კომკავშირის XVII ყრილობამ შეაჯამა ომისშემდგომი პერიოდის ამოცანათა განხორციელებისათვის საერთო სახალხო შრომაში ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მიერ მოპოვებული მიღწევები და გამოამჟღავნა ის ნაკლოვანი მხარეები, რაც რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ აქვთ. ამხანაგ ჩარკვიანის სიტყვა კომკავშირის XVII ყრილობაზე „საქართველოს კომკავშირის ზოგიერთი მორიგი ამოცანის შესახებ“ რესპუბლიკის კომკავშირელებისა და მთელი ახალგაზრდობის საბრძოლო პროგრამა გახდა. კომკავშირული ორგანიზაციები შეუდგნენ ამ სიტყვაში დასახული ამოცანების განხორციელებას.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების პირველ და მთავარ ამოცანად ამხანაგმა ჩარკვიანმა ახალგაზრდობაში, კომკავშირელებს შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება და გაძლიერება დაგვიხასა. ამხ. ჩარკვიანის მიერ დასახულ ამოცანთა განხორციელებას ჩვენ შეეძლებთ მხოლოდ პარტიული ორგანოების დახმარებით.

კომკავშირელთა და ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლების დაყენებისათვის გარკვეულ მუშაობას ეწევიან საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები, მაგრამ ნაკლოვანებანი ამ დარგში ბევრია. ჯერ კიდევ მოუგვარებელია კომკავშირელთა საგრძნობი ნაწილის პოლიტგანათლების საქმე. რესპუბლიკაში 122 ათასზე მეტი მუშა, კოლმეურნე და მოსამსახურე კომკავშირელთა მხოლოდ 50 პროცენტი მეცადინეობს პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. პოლიტწრეები და სკოლები ზნირად ფორმალურად არსებობენ. დაბალია მსმენელთა მიერ გავლილი მასალის შეთვისების ხარისხი. სათანადო ყურადღება არ ექცევა წრეებისა და სკოლების სწორად დაკომპლექტებას, პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას. პარტორგანიზაციების მდივნები ამ საქმეში მეტ კონტროლსა და დახმარებას უნდა უწევდნენ კომკავშირის ორგანიზაციებს, რაც ზოგჯერ არ ხდება. აქვე უნდა ითქვას, რომ პარტიის ზოგიერთი რაიკომი კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის საკითხებს იშვიათად იხილავს და, თუ იხილავს, აღნიშნავს მხოლოდ კომკავშირის მუშაობის ნაკლოვანებებს. მიღებულ დადგენილებაში, როგორც წესი, წერენ: „გაძლიერდეს კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება“ და ამით ამოწურავენ თითქმის ყველაფერს. ხელმძღვანელობის სხვა ფორმებს — ადგილზე შემოწმება, დახმარების მიზნით აქტივის მიმაგრება, რაიკომში გამოძახება, ამა თუ იმ საკითხზე თათბირის მოწყობა და სხვ. — ნაკლებად იყენებენ.

კომკავშირული მუშაკების დიდ ნაწილს ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილება აკლია და ამ საქმეში მას პარტიული კომიტეტების სისტემატური დახმარება ესაჭიროება.

ახალგაზრდობის იდეოლოგიური აღზრდის ამოცანის გადაწყვეტაში მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებას უდიდესი როლი ეკუთვნით. საბჭოთა ხალხის ბრძოლა და თავდადებული შრომა, ჩვენი ქვეყნის ძალისა და ძლიერების წყაროები, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა მიღწევები და ის დიდი წვლილი, რაც მათ შეაქვთ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური განვითარებისა და კულტურის საერთო საგანძურში, ასახულია საბჭოთა ლიტერატურაში, ხელოვნებაში. მიღწევებთან ერთად, ჩვენი რესპუბლიკის გამომცემლობებს აქვთ ცალკეული ნაკლოვანებანი. ნაკლებად გამოდის ქართულ ენაზე სტალინური პრემიის ლაურეატების, მოძმე რესპუბლიკების თვალსაჩინო მოღვაწეთა ლიტერატურული ნაწარმოებნი, რომლებიც გააცნობდნენ ქართველ ახალგაზრდობას საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მიღწევებს, მათ მოწინავე ადამიანებს.

საკმარისია ითქვას, რომ სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ფადეევის რომანი „ახალგაზრდა გვარდია“, რომელიც მეოთხე წელია გამოვიდა, ქართულ ენაზე დღემდე არ არის გამოცემული. საქართველოში საკმაოდ ძლიერი კინოსტუდია გვაქვს, მაგრამ ახალგაზრდობის ცხოვრებაზე მხატვრული კინოსურათები ჯერ კიდევ არ არის შექმნილი.

მოზარდ მაყურებელთა თეატრები საქართველოში მხოლოდ თბილისშია. ხელოვნების საქმეთა სამმართველო და რაიონული თეატრები კი რეპერტუარში ნაკლებად ითვალისწინებენ ახალგაზრდობის ცხოვრების ამსახველი პიესების დადგმას. ბათუმის, ქუთაისის, გორის, ზუგდიდის, ფოთის და ზოგიერთი სხვა თეატრის რეპერტუარში მიმდინარე წელს სრულებით არაა გათვალისწინებული სპექტაკლები ახალგაზრდობის ცხოვრებიდან. ასეთ სპექტაკლებს კი უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ახალგაზრდობის აღზრდისათვის. იგი აგრეთვე მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქართული სამაგვო დრამატურგიის შექმნას.

ჩვენი თეატრების კადრებით შევსების ძირითად წყაროს თბილისის თეატრალური ინსტიტუტი წარმოადგენს. ეს ინსტიტუტი სულ 168 ახალგაზრდამ დაამთავრა. კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი თანდათან ჩამოშორდა თავის პროფესიას თეატრებში ცუდი მატერიალური პირობების გამო. საქმე ის არის, რომ ინსტიტუტდამთავრებულებს თეატრებში იღებენ უანასნელი ჯგუფორიით და დაბალ ხელფასს უნიშნავენ, მიუხედავად ნიჭისა და შემოქმედებითი უნარის გამოვლინებისა. რა სახის სპასუხისმგებლო როლებიც უნდა შეასრულოს და რაგინდ დიდი დატვირთვა ჰქონდეს ახალგაზრდა მსახიობს, თავიდანვე დანიშნული ხელფასი ეძლევა, ვიდრე თეატრში უფრო მაღალი კატეგორიის ვაკანტური ადგილი არ აღმოჩნდება.

სასარგებლო იქნებოდა შექმნა სახელმწიფო-საკვალიფიკაციო კომისია, რომელიც პერიოდულად შეაფასებდა მსახიობთა შემოქმედებით უნარს და ზრდას, მათ იდეურ-პოლიტიკურ დონეს და მიანიჭებდა სათანადო კატეგორიას, რაც დიდ შემოქმედებით სტიმულს მისცემდა ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკებს.

როგორც ამხანაგმა ჩარკვიანმა თავის ხაანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს კომკავშირის რიგების ზრდა ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილის მიღებით.

სამამულო ომის დაწყების წინ საქართველოს ორგანიზაცია 267 ათასზე მეტ კომკავშირელს აერთიანებდა, 1944 წლის პირველი იანვრისათვის ეს რიცხვი 157 ათასამდე შემცირდა. 1949 წლის 1-ლ იანვრისათვის კი არის 253 ათასი კომკავშირელი, ანუ ბაახლოებით 14 ათასით ნაკლები ომამდელთან შედარებით. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, მიბაძეს რა პარტიულ ორგანიზაციებს, შეამცირეს კომკავშირში მიღება. ცხადია, კომკავშირში შემსვლელს არ შეიძლება ისეთი მოთხოვნები წავუყენოთ, რაც პარტიაში მისაღებ ამხანაგს. ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს დაავიწყდა, რომ კომკავშირი ახალგაზრდობის მასობრივ-აღმზრდელობითი ორგანიზაციაა.

ამხანაგ ჩარკვიანის მითითების საპასუხოდ გავაძლიერებთ ახალგაზრდობაში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას და მივაღწევთ კომკავშირის რიგების სწრაფ ზრდას მოწინავე ახალგაზრდების მიღებით.

რესპუბლიკაში არიან კომკავშირის მოწინავე ორგანიზაციები, სადაც პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური დახმარებისა და ხელმძღვანელობის შედეგად კარგად არის დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა და კომკავშირის რიგებშიც მიღება კარგია. ასეთებია: აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, მახარაძის, ზუგდიდის, ცხაკაიას, გურჯაანის, გორის, სიღნაღის და მრავალი სხვა კომკავშირული ორგანიზაციები.

საქართველოს კომკავშირის XVII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი განსაკუთრებით შეეხო სკოლაში კომკავშირის მუშაობის საკითხებს, ახალგაზრდობის მიერ რუსული ენის შესწავლას, ფიზიკური აღზრდის, კვალიფიციურ მუშათა ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეს, ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დაუფლების საკითხებს. კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო ორგანოებთან ერთად უკვე შეუდგნენ ამ საკითხებზე მუშაობას.

თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო ერთ საკითხზე — ახალგაზრდობაში ტექნიკური მეცნიერების პროპაგანდის საკითხზე. რესპუბლიკაში 23 ბავშვთა ტექნიკური სადგური არსებობს. აღსანიშნავია, რომ 1940 წლიდან მათი შტატები ყოველწლიურად მცირდება სხვადასხვა ორგანოს მითითებათა საფუძველზე. ამკამად ტექნიკური სადგურები მხოლოდ ფორმალურად არსებობენ. მათ არ გააჩნიათ მასალები, არა ყავთ შესაფერისი ქვალიფიციური კადრები, ისინი როგორც განათლების სამინისტროს, ასევე ადგილობრივი ორგანოების მხრივ, მოკლებული არიან დახმარებას. სახელმწიფო თანხები კი დიდი რაოდენობით იხარჯება.

ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების ძირითადი ამოცანაა აღუძრას მოსწავლე ახალგაზრდობას სურვილი, გაუღვიძოს მას ინტერესი ტექნიკური ცოდნისადმი, ფართოდ აწარმოოს მისი პროპაგანდა. რა თქმა უნდა ზემოაღნიშნულ სადგურებს ამ ამოცანის შესრულება არ ძალუძთ. საჭირო იქნებოდა ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების მუშაობის გარდაქმნა. დიდი მნიშვნელობა ექნებოდა აგრეთვე იმას, თუ რესპუბლიკურ გაზეთებსა და ჟურნალებში ხშირად დაიბეჭდებოდა მასალები ჩვენი ქვეყნის საწარმოებზე, მშენებლობის ცალკეულ ობიექტებზე, მათ სპეციალისტებზე, ტექნიკურ მეცნიერებათა გამოჩენილ ადამიანებზე, რაც ხელს შეიწყობდა ტექნიკური ცოდნის პროპაგანდის უკეთ დაყენებას.

საქართველოს კომკავშირი, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით მთელ თავის მუშაობას წარმართავს ამხანაგ ჩარკვიანის მითითებათა განხორციელებისათვის, გადაჭრით გაუუჯობესებს ახალგაზრდობის კომუნიზმის სულისკვეთებით აღზრდის საქმეს, დარაზმავს მთელ ახალგაზრდობას რესპუბლიკის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობისათვის. (ტაში).

ამხ. მ. ჩუბინიძის სიტყვა

(საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრი)

ამხანაგებო! უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სახელმწიფო კონტროლის სამინისტრომ 2 ათასზე მეტი რევიზია და შემოწმება მოახდინა სახალხო მეურნეობის ცალკეულ ობიექტებზე. შემოწმებულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობის ძირითად ნაკლოვანებათა გამოაშკარავებით სამინისტრომ ხელი შეუწყო მათს აღმოფხვრას. სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმებისა და რევიზიების პროცესში წამოყენებული 40-ზე მეტი საკითხი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მსჯელობის საგანი გახდა.

თქვენს ყურადღებას შევაჩერებ სამინისტროების, წყაებების, საწარმოების მუშაობაში გამომძღავნებულ ზოგიერთ ნაკლოვანებაზე.

ადიდებენ რა სამრეწველო საქონლის წარმოებას, მრეწველობის მთელი რიგი დარგების ხელმძღვანელებს აციწყდებათ ფაბრიკის მარკის ღირსებისათვის ბრძოლა, აციწყდებათ, რომ თანხობრივი გამოხატულებით საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებასთან ერთად ისინი მოვალენი არიან გეგმები შესრულონ აგრეთვე საქონლის ძირითადი ნომენკლატურის, ასორტიმენტისა და ხარისხის მიხედვით.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საქონლისტოს ფეხსაცმლის ფაბრიკები მეტად მდარე ხარისხის ფეხსაცმელს უშვებენ. 1947 წელს მათ სახელმწიფოს დააკლეს 236 ათასი წყვილი პირველი ხარისხის ფეხსაცმელი. 1948 წლის განმავლობაში პირველი ხარისხის ფეხსაცმელი გამოუშვეს მხოლოდ 58 პროცენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 77,4 პროცენტისა, ე. ი. სახელმწიფოს დააკლდა 321 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

მიუხედავად საწარმოო პროგრამის შესრულებისა, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელად მუშაობენ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სარემონტო საწარმოები — თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა და თბილისის ავტოსარემონტო სახელოსნო. უხეშად ირღვევა სარემონტოდ ავტომანქანების მიღების წესი, უზრუნველყოფილი არ არის სარემონტო ფონდისა და მზა პროდუქციის სათანადო შენახვა, მდარეა რემონტის ხარისხი.

ეს საწარმოები რიტმულად არ მუშაობენ. საკმარისია მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი: 1948 წლის 1-დან 29 ნოემბრამდე თბილისის ავტოსარემონტო ქარხანამ მხოლოდ ერთი ავტომანქანის რემონტი შეასრულა, 30 ნოემბერს კი—101 ავტომანქანისა.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ტრესტი „საქხუტყეემმარაგება“, რომელიც ხე-ტყის ერთ-ერთი ძირითადი დამამზადებელია, დიდხანს მეტად არადამაკმაყოფილებლად მუშობდა. სამინისტრო და ტრესტის ყოფილი ხელმძღვანელობა სათანადო კონტროლს არ უწევდნენ ხე-ტყის დამამზადებელ კანტორებს, რის შედეგადაც იშლებოდა გეგმების შესრულება, იყო ანგარიშებში წამატების, ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობის დატაცებისა და განიავების ფაქტები.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სათანადო დასკვნები არ გამოუტანია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან (1947 წლის მარტი), რომელიც ავალებს მას სისტემატური კონტროლი დააწესოს ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობისადმი. ამის შედეგად 1948 წელს ქვემო სვანეთის ხე-ტყის დამამზადებელ კანტორაში, რომელიც სამინისტროს ექვემდებარება, სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს რევიზიამ გამოაშკარავა, რომ 1946-1947 წლებში წაუმატებიათ 6.000-ზე მეტი კუბური მეტრი ხე-ტყე და უკანონოდ გადაუხდიათ 96.000 მანეთი პრემია, აგრეთვე გაუნიავებიათ 1.000 კუბურ მეტრამდე ხე-ტყის მასალა.

ფინანსთა სამინისტროს მხრივ სათანადო ხელმძღვანელობისა და კონტროლის უქონლობის შედეგად რაიფინგანის გამგეები ჯერ კიდევ არასწორად აღრიცხავენ დაბეგვრის ობიექტებს და არასწორად ანგარიშობენ გადასახადებს.

ასეთი ფაქტები იყო ზუგდიდის დუშეთის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, სოღნაღილა და სხვა რაიონებში.

ზოგიერთი რაიონის საფინანსო განყოფილება საკმო კონტროლს არ უწევს გადასახადის აგენტთა მუშაობას, თვალყურს არ ადევნებს აკრეფილი სახსრების მთლიანად და თავის დროზე შეტანას. ამის შედეგად ხდება საგადასახადო თანხების მითვისება და გაფლანგვა.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, ადგილობრივმა საფინანსო, საბჭოთა და პარტიულმა ორგანოებმა უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ საგადასახადო პოლიტიკის სწორ განხორციელებას, მკაცრი კონტროლი დააწესონ საგადასახადო თანხების სწორი გამოანგარიშებისა და თავის დროზე აკრეფისადმი.

პარტია და მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებას, საქონელბრუნვის გადიდებას და საბჭოთა კულტურული ვაჭრობის გაჩაღებას.

საბაართო სისტემის გაუქმებისა და ფულის რეფორმის განხორციელების შემდეგ ჩვენმა საავჭრო და კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს ამ მიმართულებით. მაგრამ ამ მუშაობაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანია.

საავჭრო ორგანიზაციების ბაზებში, აგრეთვე საავჭრო ქსელში შეიქმნა საქონლის დიდი მარაგი ნორმატივების გადამეტებით.

ცალკეული საავჭრო ორგანიზაციები თვითშესყიდვის გეგმების შესასრულებლად ისეთი ასორტიმენტის საქონელს ყიდულობენ, როგორიც ჭარბად მოუპოვებთ საკუთარ ბაზებში. გასაგებია რომ ეს საქონელი არ საღდება.

გამორკვეულია, რომ ხშირად მაღაზიებში არ იცავენ საქონლის საასორტიმენტო მინიმუმს, საავჭრო ქსელში დროზე არ გზავნიან საქონელს, რომელიც საწყობებში აქვთ. საქვაჭრობის თელავის განყოფილების მაღაზიებში გასული წლის დამლევს შემოწმების დროს არ იყო მარილი, ასანთი, ხელის საპონი, საკონდიტრო ნაწარმი და სხვ. ეს საქონელი არც ფოთის განყოფილების საავჭრო ქსელში იყო. ამავე დროს საწყობში სამი თვის განმავლობაში ინახებოდა: 400 კილოგრამი შაქარი, 544 კილოგრამი ნამცხვარი, 786 ნაკერი საპონი, 9.100 კოლოფი ასანთი, სხვადასხვა გვარი ალუმინის ჭურჭელი და სხვ.

საავჭრო ორგანიზაციები სათანადოდ არ იბრძვიან დატაცება-გაფლანგვის წინაღმდეგ.

კოოპვაჭრობა ხშირად საბაზრო ფასებში და უფრო ძვირადაც კი ყიდის პროდუქტებს. ამით იგი გაფლენას არ ახდენს ქალაქის ბაზრებში ფასების შემცირებაზე.

საზოგადოებრივი კვების ტრესტის, სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის ხელმძღვანელები უხეშად არღვევდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის წესებს, საავჭრო პირებს ანდობდნენ ამ საქმეს. ეს პირები, სარგებლობენ რა უკონტროლობით, პროდუქტების შესყიდვის დროს სისტემატურად ადიდებდნენ მათს ღირებულებას და ამრიგად დიდ თანხებს ითვისებდნენ.

ინვალიდთა კოოპერაციის ხელმძღვანელების პოლიტიკურმა სიბეცემ და უდარდელობამ ის გამოიწვია, რომ არტელში შემძვრალი თაღლითები და ვიგინდარები დიდი ხნის განმავლობაში დაუსჯელად ეწეოდნენ ბოროტმოქმედებას და ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობის დატაცებას. არტელ „მეურნეში“ მოკალათებულმა დამნაშავეთა ბანდამ უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში 2 მილიონ ნახევრამდე მანეთი მითვისა.

თბილისის სტუდენტთა ქალაქის სამმართველოში დანაშაულთა ბანდამ სტუდენტთა ქალაქის მმართველის მეთაურობით 250 ათასზე მეტი მანეთი გაფლანგა ყალბი დოკუმენტების შედგენის გზით.

ეს ფაქტები გვიჩვენებენ, თუ როგორ ეკიდებიან სამინისტროთა, მთავარ სამმართველოთა და უწყებათა, აგრეთვე პირველად პარტიულ ორგანიზაციათა და პარტიის ზოგიერთ რაიონულ კომიტეტთა ცალკეული ხელმძღვანელები საწარმო-დაწესებულებათა სამეურნეო მუშაობისადმი კონტროლის საკითხს.

ბოლო უნდა მოეღოს ამ უმსგავსობას და ყოველ სამეურნეო ორგანიზაციაში უმტკიცესი კონტროლი დამყარდეს სახელმწიფო ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობის ხარჯვისადმი.

რესპუბლიკის ბევრ საწარმოს და დაწესებულებაში უხეშად ირღვევა საშტატო-სავანაკვეთო დისციპლინა. ჯერ კიდევ არ სრულდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 13 აგვისტოს დადგენილება „საბჭოთა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ადმინისტრაციულ-სამართველო აპარატის შტატის გაფართოების აკრძალვის შესახებ“.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მიერ 1948 წელს შემოწმებულ მარტო 40 ობიექტში გამოირკვა, რომ შტატგარეშე მუშაკთა შესანახავად და დამტკიცებული განაკვეთების თვითნებურად გადიდებაზე დახარჯულია მილიონ მანეთზე მეტი.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ საფინანსო ორგანოების, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების მხრივ საშტატო-სავანაკვეთო დისციპლინის დაცვა-სადმი კონტროლი მეტად არადამაკმაყოფილებელია.

შეამოწმა რა მშრომელთა დეპუტატების სამტრედიის, აბაშის, ბორჯომისა და ახალქალაქის რაისაბჭოების აღმასკომების მიერ მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულება, სახელმწიფო კონტროლის სამინისტრომ გამოარკვია, რომ ცალკეული თანამდებობის პირნი უგულებელყოფდნენ ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებებს. რაიონ საბჭოების აღმასკომებში არ იყო მოგვარებული ზემდგომი ორგანოებისაგან მიღებულ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა აღრიცხვა და შენახვა, ხელმძღვანელი ორგანოების მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს აღმასკომები დიდი დაგვიანებით ან სულაც არ განიხილავდნენ. აღმასკომების გადაწყვეტილებანი სათანადო ორგანიზაციებს 15-30 დღის, ზოგჯერ კი 2-3 თვის დაგვიანებით ეგზავნებოდა. უხეშად ირღვეოდა ზემდგომ ორგანოებში ანგარიშების წარდგენის ვადები.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოონ ყველა ამ ნაკლოვანებისა და დარღვევის წინააღმდეგ.

ამხანაგებო! პარტიის გარშემო, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმულმა ქართველმა ხალხმა თავისი ძალებისადმი ურწმუნო ტატის გაფართოების ეს ერთ-ერთ ახალი, 1949 წელი.

წელს ჩვენი რესპუბლიკის წინაშე გრანდიოზული, უმაღლეესი მასშტაბის ამოცანები დგას. ქართველ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ახალი დიდი წარმატებანი მოიპოვოს სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში, ასახლოს ჩვენი სამშობლო მეცნიერებისა და კულტურის ახალი თვალსაჩინო მიღწევებით. (ტაში).

გავაჩაღოთ ბრძოლა საბრუნავ საშუალებათა უკეთესად გამოყენებისათვის!

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის სტახანოველთა ჯგუფის წერილი

დიდი ინტერესით გავეცანით ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის 103 საწარმოს ხელმძღვანელთა წერილს ამხანაგ სტალინისადმი. სახელოვანი სავმე წამოიწყეს მოსკოველებმა! ეს ხელს შეგვწყობს საწარმოების საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებაში, კიდევ მეტად განამტკიცებს საბჭოთა მანეთს, უზრუნველყოფს ხუთწლედის ვადამდე შესრულებას.

ჩვენი ქარხნის კოლექტივი საქმიანად გამოეხმაურა მოსკოველთა წამოწყებას. გადავწყვიტეთ 15 დღით დავაჩქაროთ საბრუნავ საშუალებათა ბრუნვა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გავუთავისუფლოთ სახელმწიფოს 1.400.000 მანეთი. ჩვენ გადავწყვიტეთ ნაკლები ხარჯის გაწევით, უფრო სწრაფად გამოვუშვათ მეტი რაოდენობის დაზგები.

ეს სერიოზული ვალდებულებაა და ჩვენ, სტახანოველების ერთი ჯგუფი, ჩავუფიქრდით იმას, თუ როგორ გავუწოოთ უკეთესი დახმარება ქარხნის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

თბილისის XIX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა დიდი ქებით მოიხსენია სტახანოველთა მიღწევები და ინიციატივა. სტახანოვური ინიციატივა გვეხმარება წინ წაეწიოთ წარმოება. ცხადია, რომ ახლაც, როცა ფართოდ ჩაედება ბრძოლა საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დასაჩქარებლად, სტახანოველები მოვალენი არიან თავიანთი სიტყვა თქვან.

ჩვენ გადავწყვიტეთ:

თვითეული ჩვენგანი თავის სამუშაო პოსტზე, თავის დაზგასთან უნდა გახდეს ქარხნის საბრუნავ საშუალებათა უსწრაფესი ბრუნვისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე. როგორ შევძლებთ ჩვენ ამას? ამას შევძლებთ შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებით, მაღალნაყოფიერი ხელსაწყოების და მუშაობის სწრაფი მეთოდების გამოყენებით, ნედლეულისა და მასალების ეკონომიით. ამით თვითეული ჩვენგანი თავის წვლილს შეიტანს დაზგების გამოშვების საწარმოო ციკლის შემცირებისათვის, ქარხნის საბრუნავ საშუალებათა უკეთ გამოყენებისათვის ბრძოლაში.

ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

ა. ბენდიანიშვილი—ამწყობი-ზენიკალი: ვკისრულობ 1949 წელს ორი წლის ნორმის შესრულებას; უწყნოდ მუშაობას; წლის განმავლობაში მასალების მომჭირნეობით და რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით 3.500 მანეთის დაზოგვას; შეჯიბრებაში ვიწევ ჩვენივე ქარხნის ზენიკალს ამხ. ი. არტემოვს და თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ზენიკალს ამხ. პ. მუნიგულაშვილს.

ი. ფირცხალავა — ამწყობი-ზენიკალი: ვკისრულობ 1949 წელს ორი წლის ნორმის შესრულებას, უწუნოდ მუშაობას, მასალების ხარჯვასა და ინსტრუმენტების გამოყენებაში რაციონალიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებით 2.500 მანეთის დაზოგვას და შეჯიბრებაში ვიწევ ჩვენივე ქარხნის ზენიკალს ამხ. ქინტარაულს და ქარხანა „დაზგის“ ზენიკალს ამხ. ს. ვეფაძეს.

ტ. ვდოვინა — ლითონმხეხავი: ვკისრულობ ვიმუშაო ორ დაზგაზე, 1949 წელს შევასრულო ორწლინახევრის ნორმა, სააბრაზივო ქვებისა და საცხები მასალების მომჭირნეობით ქარხნისათვის გავწიო 1.500 მანეთი ეკონომია. შეჯიბრებაში ვიწევ ჩვენს ქარხანაში მომუშავე ლითონმხეხავს გ. ეფრემოვას და ავტოსარემონტო ქარხნის ლითონმხეხავს ამხ. არუთინოვს.

შ. სოსიაშვილი — ამწყობი-ზენიკალი: ვკისრულობ წელს შევასრულო ორი წლის ნორმა, გავაუმჯობესო „დიპ-300“ დაზგის კვანძების აწყობის ხარისხი და მივაწიო 1.500 მანეთ ეკონომიას. შეჯიბრებაში ვიწევ ჩვენივე ქარხნის ზენიკალს ამხ. თ. სივოპლიოსოვს და ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ზენიკალს ამხ. შ. შენგელიას.

ი. უკოლოვი — ხარატი: ვკისრულობ ლითონის ჭრის სწრაფი მეთოდების გამოყენების საშუალებით წელს ორწლინახევრის ნორმის შესრულებას და 2.500 მანეთის ლითონის და ინსტრუმენტების დაზოგვას. შეჯიბრებაში ვიწევ ჩვენი ქარქნის ხარატს ამხ. ი. მატვეევს და 26 კომისრის სახელოს მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატს ამხ. გ. გასიშვილს.

პ. ლუგანსკი — მჭედელი: წელს ვკისრულობ წლინახევრის ნორმის შესრულებას, დეტალებზე გადანამეტთა შემცირების გზით 2 ტონნა საწვავისა და 1,5 ტონა ლითონის ეკონომიას. შეჯიბრებაში ვიწევ ჩვენივე ქარხნის მჭედელს ამხ. მ. პლესკოტინს და ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მჭედელს ამხ. გამხუაშვილს.

ჩვენს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება დიდათაა დამოკიდებული აკეთილ ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხნის სტახანოველთა კარგ მუშაობაზე, ვინაიდან ისინი მოვალენი არიან შეუფერხებლივ მოგვამარაგონ მაღალხარისხოვანი სხმულით.

დარწმუნებული ვართ, რომ თბილისის ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველები მხარს დაუჭერენ ჩვენს წამოწყებას და განვლილი წლების მსგავსად მძლავრად გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას პროფესიათა მიხედვით წარმოებაში. ეს ხელს შეუწყობს ეროვნული ნორმების ვადამდე შესრულებისათვის, ეკონომიისათვის. ამით, სტახანოველები ხელს შეუწყობთ წარმატებით ბრძოლას საწარმოების საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებისათვის, საქმით გუუასუხებთ მოსკოველთა ახალ პატრიოტულ თაოსნობას.

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის სტახანოველები: ა. ბენდიანიშვილი, ი. უკოლოვი, ი. ფირცხალავა, ტ. ვდოვინა, პ. ლუგანსკი, შ. სოსიაშვილი.

ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა „მალაროელი“. ბრიგადირი ხარაბაძე (მარჯვნივ) დავალებას აძლევს სტახანოველ ამწყობს კ. ლევიძეს, რომელიც გეგმას 200 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვლ. გიგნაშვილისა

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოები

კამვოლ-მაუდის ფაბრიკა

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ გასული წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკას საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიაკუთვნეს პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა.

ფაბრიკის კოლექტივმა, რომელმაც მესამე კვარტალში შეჯიბრებაში მესამე ადგილი მოიპოვა და 75 ათასი მანეთი ფულადი პრემია მიიღო, მეოთხე კვარტალში უფრო გააუმჯობესა მუშაობა. ნართის გამოშვების მეოთხე კვარტალის დაგალება ფაბრიკის კოლექტივმა 123 პროცენტით შეასრულა, ხამი ქსოვილისა—103,5 პროცენტით, მზა პროდუქციისა—116,3 პროცენტით. ამასთანავე ზუსტად დაიცვა ასორტიმენტი.

მთლიანად ფაბრიკამ საერთო პროდუქციის გამოშვების კვარტალური დაგალება 137,9 პროცენტით გაანაღდა, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა—122,4 პროცენტით.

სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი

გასული წლის მეოთხე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატს მეორედ მიეკუთვნა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

კომბინატმა უცვლელ ფასებში საერთო პროდუქციის გამოშვების მეოთხე კვარტალის გეგმა 121,3 პროცენტით შეასრულა, გასაცემ ფასებში სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა — 118,2 პროცენტით, ნაროისა — 111,3, ხოლო წინდის გამოშვებისა — 110,5 პროცენტით.

ამ მაღალი ჯილდოს მიღებით აღფრთოვანებულმა კომბინატის კოლექტივმა ერთსულოვნად იკისრა მეეკონომიკური ბრძოლის გეგმის ყველა მაჩვენებლის გადამეტებით შესრულებისათვის, კვლავაც შეინარჩუნოს მოწინავე საწარმოს სახატიო წოდება და მოსკოვის 103 ქარხნის კოლექტივების მიმართვასთან დაკავშირებით წელს ერთი მანეთი საბრუნავი თანხით გამოუშვას სამმანეთნახევრის სასაქონლო პროდუქცია, სამი დღით დაჩქაროს საბრუნავი სახსრების მიმოქცევა და გაუთავისუფლოს სახელმწიფოს სულ მცირე 1.500 ათასი მანეთი საბრუნავი თანხა.

ჩვენ გვწერენ

საღ ნაიღეს ჩვენი გაზეთები?

შარშან ხაბუმის (ჩხოროწყუს რაიონი) სასოფლო ფოსტის მუშაობით მრავალმა ათეულმა მეთხუელმა გამოვეწერეთ ერთი წლის ვადით ჟურნალ-გაზეთები.

ხელმომწერნი კმაყოფილი ვიყავით, როცა ჩვენ კუთვნილ გაზეთებს დროულად გვაბარებდა სასოფლო ფოსტა, მაგრამ ეს მხოლოდ ნოემბრამდე გაგრძელდა. ნოემბერსა და დეკემბერში სრულიად შეწყვეტეს ხელმომწერთათვის გაზეთების „სახალხო განათლებისა“ და „ნორჩი ლენინელის“ მიწოდება. ორი თვის მანძილზე ხელმომწერლებს შ. ბერულავას, თ. გახარიას, ლ. ცირამუას, ვ. შენგელიას, ლ. ყალიჩავას, ა. გულუას, საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას და მრავალ სხვას აღნიშნული გაზეთების არც ერთი ეგზემპლარი არ მიუღიათ.

ამის თაობაზე არა ერთხელ მიგვმართავს ჩხოროწყუს რაიონის ფოსტისათვის, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ.

საჭიროა საქმეში ჩაერიონ ჩხოროწყუს რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები და დამნაშავეს პასუხი მოსთხოვონ.

ა. გულუა

საბჭოთა მშენებლობა

სასოფლო საბჭო საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადების ღონეებში

სასოფლო საბჭოში გამართულ თათბირს დეპუტატებს გარდა ესწრებოდნენ კოლმეურნეობათა მემხდგომების ბრიგადების ხელმძღვანელები, მერგოლურები, უხვი მოსავლის ოსტატები. დიდი ინტერესით მოისმინეს თათბირის მონაწილეებმა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გიორგი ნათაძის მოხსენება საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

თათბირზე გამოვიდნენ მერგოლურები, უხვი მოსავლის ოსტატები — წერქოლის კოლმეურნეობიდან ანა მორბედაძე, სოფელ ნახიდის ვორონელოვის სახელობის კოლმეურნეობიდან ეასილ ფსუტერი. მათ ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უხვი მოსავლის მისაღებად საგაზაფხულო ხვნა-თესვის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებას; აღნიშნეს, რომ ამ კამპანიის დროს თავისი კონკრეტული მოვალეობა უნდა იცოდეს არა მარტო ბრიგადამ და რგოლმა, არამედ თვითეულმა კოლმეურნემ; თათბირის მონაწილეებს მოუთხრეს თავიანთი პირადი სამუშაო გეგმების შესახებ. მერგოლურმა ვასილ ფსუტერმა ილაპარაკა კარტოფილის უხვი მოსავლის მისაღებად მაღალხარისხოვანი სათესლე მასალის მომზადების მნიშვნელობაზე. შარშან მან მისთვის მიჩენილი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 85 ცენტნერის ნაცვლად 120 ცენტნერი კარტოფილი მიიღო. ამ წარმატების მიღწევის გზებზე მოუთხრო ვ. ფსუტერმა თათბირს...

საგაზაფხულო ხვნა - თესვისათვის მზადების საკითხი განხილულ იქნა აგრეთვე სასოფლო საბჭოს სესიაზე.

საბჭოს აქტივი სესიიდან ახალი შთაბეჭდილებით, ახალი დავალებით დაბრუნდა. სესიის გადაწყვეტილებების შესახებ დეპუტატებმა მოუთხრეს თავიანთი კოლმეურნეობების ბრიგადირებს, მერგოლურებს, კოლმეურნეებს. საბჭოს აღმასკომმა გააძლიერა თვალყურის დევნება იმისათვის, თუ როგორ ასრულებდნენ მიცემულ დავალებებს დეპუტატები ადგილებზე.

სასოფლო საბჭოს დეპუტატი, სოფელ საძეგურის კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანი ალექსი რაზმაძე მოელაპარაკა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას.

— ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო იარაღების რემონტი, — შენიშნა საუბარში დეპუტატმა.

— კოლმეურნეობაში სამჭედლო არა გვაქვს, შესაკეთებელი იარაღის წაღება შორს გვიხდება, ეს კი, თქვენც კარგად იცით, ერთბაშად არ შეიძლება გაკეთდეს,—დაასკვნეს გამგეობის წევრებმა.

ასეთ მდგომარეობასთან შერიგება არ შეიძლებოდა, დეპუტატი ალექსი რაზმაძე გამოსავალს ეძებდა. იგი ესტუმრა სოფელში მცხოვრებ გამოცდილ მჭედელს ისაკი ნაროზაშვილს. საძეგურის კოლმეურნეობას ახლა აქვს სამჭედლო. მჭედელი ისაკი ნაროზაშვილი სწრაფად და მაღალხარისხოვნად არემონტებს არა მარტო თავისი კოლმეურნეობის, არამედ მეზობელი სოფლების კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო იარაღებსაც.

სასოფლო საბჭოს დეპუტატის ინიციატივით სამჭედლო მოეწყო სოფელ ქვემო ალვანის კოლმეურნეობაში. სამჭედლო არის სოფელ წირქოლის კოლმეურნეობაშიც. ამ ღონისძიებათა გატარების შედეგად კოლმეურნეობებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო იარაღების რემონტი. ეს სამუშაო დასასრულს უახლოვდება.

სასოფლო საბჭოს სესიის გადწყვეტილების განხორციელებისათვის ნაყოფიერად მუშაობს აქტივი. თავიანთ თანასოფლელებთან საინტერესო საუბრები ჩაატარეს უხვი მოსავლის ოსტატებმა ნატო გაბრიელაშვილმა — ქვემო ალვანი, სიმონ გიგაურმა — საძეგურში, ნინო ჩიტაშვილმა—კორინთაში და სხვ.

მუშობა გააძლიერა სასოფლო საბჭოს ქოხ-სამკითხველოსთან არსებულმა აგრონომიულმა წრემ, რომელსაც აგროტექნიკოსი სანდრო დოლიაშვილი ხელმძღვანელობს. ამ წრის ინიციატივით აგროსაუბრები ჩატარდა სოფელ გეზევრეთის, ქურთისა და წირქოლის კოლმეურნეობებში. საუბრებში მონაწილეობდნენ კოლმეურნეები, რომელთაც მრავალი წლის მუშაობის საუკეთესო გამოცდილება აქვთ.

სასოფლო საბჭოს აღმასკომსა და კოლმეურნეობებში გამომავალი კედლის გაზეთები საქმიანად და შინაარსიანად წერენ საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადებაზე, ამხილებენ ნაკლოვანებებს, მიუთითებენ მათი გამოსწორების გზებზე.

ნაყოფიერად მუშაობს სასოფლო საბჭოს მემხდგომეობის მუდმივი კომისია (კომისიის თავმჯდომარე ტატო ღუნაშვილი). ამ კომისიამ გამოავლინა და გამოასწორა მთელი რიგი ნაკლოვანებანი. მაგალითად, სოფელ გუდაწვრის კოლმეურნეობაში აკლდათ სათესლე მასალა, ხოლო რაც გააჩნდათ, ისიც სათანადოდ არ იყო გარეცული. სამქმეში მემხდგომეობის მუდმივი კომისიის ჩარევის შემდეგ გამოსწორდა ეს ნაკლოვანებანი. გუდაწვრის კოლმეურნეობას ახლა საკმაო რაოდენობით აქვს მაღალხარისხოვანი თესლი.

ქურთისა და ხერკეულთის კოლმეურნეობებში მუშა-პირუტყვი დაუძლურებული იყო. სასოფლო საბჭოს აღმასკომმა ამ კოლმეურნეობებში ჩაატარა თათბირები. მუშა-პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. მოიმკელელებად შერჩეული არიან შრომისმოყვარე კოლმეურნეები.

სასოფლო საბჭოს აქტივის ინიციატივით კოლმეურნეობებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო ხვნა-თესვის საუკეთესოდ მომზადებისა და ჩატარებისათვის.

კორინთის სასოფლო საბჭო ერთერთი მოწინავეა ლენინგორის რაიონში. თერთმეტი წელია ამ საბჭოს უნარიანად ხელმძღვანელობს გიორგი ნათაძე, რომელიც ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით და ორი მედლით.

აღმასკომის თავმჯდომარეს და საბჭოს აქტივს მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ შეძენილი. ისინი ამ გამოცდილებას წარმატებით იყენებენ საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადების დღეებში.

ვლ. ველაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

აღვზარდოთ მეშახტეთა მუდმივი კადრები

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობა სტალინური ხუთწლედების განვითარებაში გაიზარდა და რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიის ერთ-ერთი წამყვანი დარგი გახდა.

ახლა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა წინაშე დასმულია დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანა — უზრუნველყოს კოქსვადი და გაზგენერატორული ქვანახშირით რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, როცა ის ამუშავდება, აგრეთვე უზრუნველყოს საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების მრეწველობის დანარჩენი დარგების განუხრელად მზარდი მოთხოვნილება საწვავზე.

ასრულებენ რა ამ ამოცანას, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა ქვანახშირის ამოღების ზარდის მაღალ ტემპებს მიაღწიეს. 1948 წელს ქვანახშირის ამოღება ომამდელ 1940 წელთან შედარებით ერთიორად და მეტად გაიზარდა. წელს გათვალისწინებულია ქვანახშირის ამოღების შემდგომი ზრდა. ხუთწლედის დამლეგისათვის ქვანახშირის ამოღება საქართველოს შახტებში 4-ჯერ გადაჭარბებს ომამდელ დონეს.

ქვანახშირის ამოღების ზრდის ასეთი ტემპი, ცხადია, მოითხოვს შახტებში მუშაობა რაოდენობის გადიდებას, მეშახტეთა მუდმივი კვალიფიციური კადრების შექმნას.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე დიდი ყურადღება დაუთმო ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხებს. ქვანახშირის რაიონების პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, — თქვა ამხანაგმა ჩარკვიანმა, — მეშახტეთა შორის პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ფართოდ გაჩაღებაა. პარტიულმა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ ქვანახშირის მრეწველობის მუშათა ახალი კადრების შექმნის საქმეში.

ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ მეშახტეთა მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტლივ ამაღლებისა და მათი სანაბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სატარიფო განაკეთები ქვანახშირის მრეწველობაში მნიშვნელოვნად აღემატება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში მოქმედ განაკეთებს. შრომის პროგრესული ანაზღაურება ითვალისწინებს აგრეთვე განსაკუთრებულ შეღავათიან პირობებს. მაგალითად, მეშახტეების მიერ ნორმების 80 პროცენტით შესრულებისას გამომუშავების ანაზღაურება ხდება ერთმაგად, 80 პროცენტს ზევით 100 პროცენტამდე გამომუშავებულ ერთეულზე იგი იღებს ორმაგ ანაზღაურებას, ხოლო ამ პროცენტს ზევით გამომუშავების ერთეულზე სამმაგ ანაზღაურებას.

ამის შედეგად კვალიფიციური მუშების გამომუშავება თვეში 3-4 ათას მანეთს აღწევს, ხოლო მთელი რიგი მოწინავე მეშახტეების გამომუშავება 6 ათას მანეთს აღემატება.

წლითიწლობით უმჯობესდება მეშახტეთა სანაბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები. ოჯახიანი მუშები უზრუნველყოფილი არიან ცალკე ბინებით ან ოთახებით. უცოლშვილო მუშებისათვის მოწყობილია სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლები. აქ, საჭირო აეეჯით მოწყობილ ოთახებში, ცხოვრობს სამ-სამი, ოთხ-ოთხი კაცი. მეშახტეთა დაბებში აროს კლუბები, კინოები, ბიბლიოთეკები, სამკითხველოები.

მაგრამ ზემოთქმულით არ ამოიწურება პარტიისა და მთავრობის მზრუნველობა მეშახტეებისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 10 სექტემბრის ბრძანებულებით დაწესებულია განსაკუთრებული შეღავათები ქვანახშირის მრეწველობის მუშებისათვის.

შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარება პროფკავშირის წევრებს, რომელთაც მიწისქვეშ მუშაობის ერთ წელიწადზე მეტი განუწყვეტელი სტაჟი აქვთ, ეძლევათ 100 პროცენტის რაოდენობით, მაშინ როდესაც მრეწველობის სხვა დარგების მუშებისათვის საჭიროა 8 წლის მუშაობის განუწყვეტელი სტაჟი.

მეშახტეების ან მათი ოჯახის წევრების ინვალიდობის ან მარჩენალის დაკარგვის გამო საპენსიო უზრუნველყოფისას 300 მანეთის ნაცვლად დაწესებულია მაქსიმუმი 600 მანეთის რაოდენობით. ამ თანხას ემატება 180-მდე მანეთი პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის, 135-მდე მანეთი მეორე ჯგუფის ინვალიდებისა და 90-მდე მანეთი მესამე ჯგუფის ინვალიდებისათვის.

მოხუცებულობის გამო პენსია ეძლევათ იმ ძირითადი ხელფასის (ან სატარიფო განაკვეთის) 50 პროცენტის რაოდენობით, რომელსაც მუშა იღებდა პენსიის დანიშვნის დროისთვის. პენსიის მისაღებად საჭიროა 20 წლის ასაკი მიღწეული. მუშაობის განგრძობისას ინვალიდობის ან მოხუცებულობის გამო დანიშნული პენსია მუშებს მთლიანად ეძლევათ.

წელთა დამსახურებისა და უნაკლო მუშაობისათვის დაწესებულია მეშახტეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება. ლავებისა და სანგრევების მუშები, რომლებმაც იმუშავეს 5 წელი, დაჯილდოებული იქნებიან მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“, რომლებმაც იმუშავეს 10 წელი — მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, რომლებმაც იმუშავეს 15 წელი — „შრომის წითელი დროშის“ ორდენით და რომლებმაც იმუშავეს 20 წელი — ლენინის ორდენით.

მიწისქვეშა მუშებს ყოველწლიურად (წლის დამლეგს) ეძლევათ ერთდროული ჯილდო ნამსახურობისათვის შემდეგი რაოდენობით: 1 წელზე მეტი ხნით მუშაობისათვის — წლიური ხელფასის ანუ სატარიფო განაკვეთის 10 პროცენტი; 3-დან 5 წლამდე — 15 პროცენტი; 5-დან 10 წლამდე — 20 პროცენტი; 10-დან 15 წლამდე — 25 პროცენტი და 15 წელზე მეტი ხნით მუშაობისათვის — 30 პროცენტი.

სტახანოველ მუშებს, რომლებმაც 10 და მეტი წელი იმუშავეს მიწისქვეშა სამუშაოებზე, ეძლევათ „საპატიო მეშახტის“ წოდება, ამასთან უფასოდ ეძლევათ საპატიო მეშახტის ტანისამოსი და ნიშანი „საპატიო მეშახტე“.

მიწისქვეშა მუშებს, რომლებმაც 25 წელი და მეტი იმუშავეს ქვანახშირის შახტებში, ეძლევათ შეღავათები სანიტარულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის, სასწავლებლებში ბავშვთა სწავლის, საცხოვრებელი სახლის საკუთრებად შეძენის მხრივ და სხვ.

მიწისქვეშა მუშებს—პენსიონერებს, რომელნიც მუშაობდნენ ამწმენდებად, მნგრეველებად, საყელავი მანქანების მემანქანეებად და პირველი თანრიგის გამთხრელებად, თუ მათ 15 წელი იმუშავეს ამ პროფესიებზე, სამუდამოდ უნარჩუნდებათ ბინები, რომლებიც მათ უკავიათ.

ქვანახშირის მრეწველობის მუშებს, რომელთაც კავშირი აქვთ კოლმეურნეობებთან, შეღავათები ეძლევათ სასოფლო-სამეურნეო, საშემოსავლო გადასახადისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების მხრივ.

ასეთივე შეღავათი ეძლევათ კოლმეურნეთა ოჯახებს, თუ მეურნეობის მეთაური ან ოჯახის სხვა შრომისუნარიანი წევრი ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებში მიწისქვეშა სამუშაოზეა.

იმ კოლმეურნეთა ოჯახები, რომელნიც შახტში მოდიან სამუშაოდ ორგანიზებული შეგრავების წესით, თავიანთ სუფლდებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, თუ მეურნეობის მეთაური ან ოჯახის სხვა შრომისუნარიანი წევრი მუშაობს მიწისქვეშა სამუშაოებზე იმ პირობით, თუ მათი ოჯახების დანარჩენმა შრომისუნარიანმა წევრებმა გამომუშავეს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი.

ქვანახშირის მრეწველობაში მიწისქვეშა სამუშაოებზე მომუშავენი თავიანთ სუფლდებიან სოფლის მეურნეობის შემოსავალზე არსებული გადასახადისაგან, საწალეკო დასახლებულ ადგილებში მეურნეობის სიდიდის მიუხედავად, ამასთან ამ შეღავათს ინარჩუნებენ პენსიაზე გადასახლასთან დაკავშირებით მათ მიერ მუშაობის შეწყვეტის შემთხვევაში.

გარდა ამისა, დაწესებულია შეღავათები რძის ჩაბარების მხრივ. იმ კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომელთა ოჯახის წევრები მუშაობენ ქვანახშირის შახტებში, იღებენ შეღავათებს დაწესებული ნორმის 50 პროცენტის რაოდენობით იმ პირობით, თუ კოლმეურნეობებში დარჩენილი მათი ოჯახის შრომისუნარიანი წევრები ასრულებენ შრომადღეების დაწესებულ მინიმუმს.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის საწარმოები დიდ სანბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას ახორციელებენ. საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში 1949 წლის განაგლობაში გათვალისწინებულია 25 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა. კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისათვის წელს გადებულია 32,5 მილიონი მანეთი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი ყოველწლიური დღესასწაულის — მეშახტის დღის დაწესების შესახებ, მრავალი წლის და უნაკლო მუშაობისათვის ორდენებითა და მედლებით ჯილდოდებისა და საინჟინრო-ტექნიკური და ხელმძღვანელი მუშაკებისათვის პერსონალურ წოდებათა შემოღების შესახებ, აგრეთვე მთავრობის გაფაფუტებლებანი მეშახტეებისათვის შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ წარმოადგენენ მეშახტეებისათვის ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგი სტალინის უდიდესი მზრუნველობის ცოცხალ გამოხატულებას. ეს ყველა პირობას ქმნის მაღალკვალიფიციურ მეშახტეთა მუდმივი კადრების შეარჩევნისათვის. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები ამ მზრუნველობას ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ. საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკების მოძღვარ ერმილასთან ერთად ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი სათბობი მისცენ ჩვენს ქვეყანას.

ბ. ბუჯიეშვილი

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსი, ინჟინერ-მაიორი ბ. ბუჯიეშვილი

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 9 თებერვალი. (საკდესი). 8 თებერვალს უშიშროების საბჭომ დაიწყო განხილვა გენერალური ასამბლეის 1948 წლის 19 ნოემბრის რეზოლუციისა ატომური იარაღის აკრძალვისა და უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ერთი მესამედით შემცირების შესახებ.

ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების საკითხი, როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე [illegible]

[illegible]

ეს მთელი სიცხადით დაადასტურა აგრეთვე რეზოლუციის პროექტმა, რომელიც ინგლის-ამერიკის ბლოკმა წამოაყენა და თავს მოახვია გენერალურ ასამბლეას პარიზის სესიაზე, ნაცვლად ამ ბლოკის მიერ უარყოფილი ნათელი და ზუსტი საბჭოთა პროექტისა.

მიღებულ რეზოლუციაში, როგორც ცნობილია, გამოთქმულია მხოლოდ ზოგადი სურვილი იმის შესახებ, რომ უშიშროების საბჭომ განაგრძოს „ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარა- [illegible]

[illegible]

სახელმწიფოსათვის და არ შელახავდა ამა თუ იმ სახელმწიფოს ეროვნულ სუვერენიტეტს;

მესამე, აღნიშნავს, რომ გენერალური ასამბლეის 1948 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება „ატომური იარაღის აკრძალვა და უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ერთი მესამედით შემცირება" შეიცავს რეკომენდაციას უშიშროების საბჭოსადმი, რომ განაგრძოს ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების მოწესრიგებისა და შემცირების საკითხის [illegible]

[illegible]

ბის საბჭოს მუდმივმა წევრებმა არა უგვიანეს 1949 წლის 31 მარტისა წარმოადგინონ სრული ცნობები შეიარაღებული ძალების და ყველა სახის შეიარაღების, მათ შორის ატომური იარაღის შესახებ".

სსრ კავშირის წინადადებებმა სხვადასხვაგვარი გამოხმაურება გამოიწვიეს უშიშროების საბჭოს წევრთა მხრივ.

მაშინ როცა უშიშროების საბჭოს ზოგიერთ წევრს ესმოდა, რომ შეუძლებელია სსრ კავშირის წინადადებებით წამოყენებული უმნიშვნე- [illegible]

[illegible]

მაგრამ, შემდეგ, იმავდროულად და ამავე დროს ... და შეიარაღებული ძალების შემცირების საქმეში პირველ ნაბიჯად ითვალისწინებდნენ ყველა არსებული სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების მესამედით შემცირებას ერთი წლის განმავლობაში. ისინი ითვალისწინებდნენ აგრეთვე გენერალური ასამბლეის რეკომენდაციას —აკრძალულიყო ატომური იარაღი და უშიშროების საბჭოს ფარგლებში შექმნილიყო საერთაშორისო საკონტროლო ორგანო ამ ღონისძიებათა განხორციელებისადმი მეთვალყურეობისა და კონტროლის გასაწევად.

საბჭოთა კავშირის ამ მარტივ, ზუსტ და კონკრეტულ წინადადებათა გარშემო გაჩაღებულმა დისკუსიამ ცხადყო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინგლის-ამერიკის ბლოკს არათუ არ სურს კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელოს, რომ შემცირდეს შეიარაღება და აიკრძალოს ატომური იარაღი, რომელიც თავდასხმის, აგრესიის იარაღს წარმოადგენს, არამედ პირდაპირ უარს ამბობს თავისი შეიარაღებული ძალების შემცირებაზე.

[illegible] თავდაცვის ინტერესებით;

მეორე, აღნიშნავს, რომ დღემდე არაფერი არ გაკეთებულა, რათა განხორციელებულიყო გენერალური ასამბლეის 1946 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება—„კომისიის დაარსება ატომის ენერგიის აღმოჩენასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემების განსახილველად", და შესრულებულიყო 1946 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება „იმ პრინციპების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ შეიარაღების საყოველთაო მოწესრიგებასა და შემცირებას"; ეს გარემოება ზიანს აყენებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს;

ამასთანავე აღნიშნავს, რომ არც ატომის კომისიას და არც ჩვეულებრივი შეიარაღების კომისიას არ შეუსრულებია მათ წინაშე დასახული ამოცანები, რაც უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ზოგიერთ დიდ სახელმწიფოთა მთავრობები დღემდე არ ისწრაფოდნენ გამოტანილი ყოფილიყო ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც მისაღები იქნებოდა ყველა მშვიდობისმოყვარე

[illegible] იცავენ ორგანიზაციის დიად პრინციპებს და არ გამომდინარეობდეს სახელმწიფოთა რომელიმე იმ დაჯგუფების ინტერესებიდან, რომელიც თავის ვიწრო ინტერესებს ისახავს.

3. ჩვეულებრივი შეიარაღების კომისიამ და ატომის კომისიამ თავიანთ მუშაობაში უნდა იხელმძღვანელონ იმით, რომ ატომური იარაღის აკრძალვა და ატომის ენერგიისადმი კონტროლის დაწესება წარმოადგენდეს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების შეიარაღების ერთი მესამედით შემცირების საერთო გეგმის, როგორც ამ საქმეში პირველი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯის, შემადგენელ ნაწილს.

4. საჭიროდ იქნას ცნობილი უშიშროების საბჭოს ფარგლებში საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს დაარსება შეიარაღების და შეიარაღებული ძალების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის მეთვალყურეობისა და კონტროლის გასაწევად.

5. საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ უშიშრო- [illegible]

ბულგარეთის სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს დეკლარაცია

სოფია, 8 თებერვალი. (საკდესი). დღეს პრესაში გამოქვეყნდა სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს დეკლარაცია.

დეკლარაციის შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ ბულგარელ ხალხს არაერთხელ გამოუთქვამს, რომ მას სურს შეიქმნას მტკიცე მშვიდობა, უშიშროება და ხალხთა თანამშრომლობა, რადგან ეს სამართლიანად მიაჩნია იმის აუცილებელ [illegible]

[illegible]

სახალხო მთავრობას მშვიდობისა და თანამშრომლობის მისი მტკიცე და თანმიმდევრულად აწონილი საგარეო პოლიტიკისათვის, ვაცხადებთ, რომ მშვიდობის, ჩვენს განმათავისუფლებელ დიდ საბჭოთა კავშირთან უმჭიდროესი მეგობრობის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან და სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხებთან თანამშრომლობის ამ პოლიტიკას მხარს უჭერს მტკიცედ დარაზმული მთელი ბულგარელი ხალხი.

ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო ნოტები ინგლისისა და საფრანგეთისადმი

ნიუ-იორკი, 9 თებერვალი. (საკდესი). გაზეთ „დეილი მირორის" მიმომხილველი ამტკიცებს, რომ შეერთებულმა შტატებმა საიდუმლო ნო- [illegible]

[illegible]

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი

მეხუთე ტურში [illegible] ... ლავანდიშვილმა გურგენიძესთან მიიღო ხარისხი პაიკის ფასად, მაგრამ შემდეგში არაზუსტი თამაშის შედეგად დაკარგა უპირატესობა, საყაიმო ენდშპილში დაუშვა შეცდომა და დამარცხდა. ასოვსკი-ბლაგიძის პარტიაში შავებმა დაკარგეს პაიკი, მაგრამ ლამაზი კომბინაციური თამაშით ბლაგიძემ შეძლო წონასწორობის აღდგენა და ენდშპილში თვითონ მოიგო პაიკი. შემდეგ ასოვსკიმ გადაალახა ფიქრ- [illegible]

[illegible] და დამარცხდა.

ამრიგად, ხუთი ტურის შემდეგ წინ არიან: ფირცხალავა — 3½ (ოთხი გათამაშებული პარტიიდან), ბლაგიძე და შიშოვი — 3½ (ხუთ-ხუთი პარტიიდან) და ებრალიძე — 3 (ოთხი პარტიიდან).

ქვანახშირის მრეწველობის სახლის პროექტი

მიმდინარე ხუთწლედში, თბილისში, რუსთაველის მოედანთან უნდა აშენდეს ქვანახშირის მრეწველობის მრავალსართულიანი სახლი. აქ მოთავსდება კომბინატი „საქქვანახშირი", „საქშახტმშენი", „საქშახტპროექტი" და სხვ.

ამ ლამაზი შენობის დასაპროექტებლად მოეწყო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს საუკეთესო არქიტექტორები. ჟიურიმ მოიწონა და მიიღო არქიტექტორების მ. ჩხიკვაძისა და კ. ჩხეიძის მიერ წარმოდგენილი პროექტი.

ამჟამად ტრესტი „საქშახტპროექტი" ამზადებს სახლის სამუშაო ნახაზებს.

1.500 ლექცია სოფლად

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს ლექტორებმა შარშან სოფლის მოსახლეობისათვის ჩაატარეს 1.500 პოპულარული ლექცია ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის, საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების, საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

რაიონებში შექმნილია 12 სასოფლო ლექტორიუმი, რომელთა მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ ექიმები, აგრონომები და მასწავლებლები.

სემინარი

ორშაბათს, 14 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში შედგება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორთა მუდმივმოქმედი სემინარი. ლექციას თემაზე: **„ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა"** წაიკითხავს დოცენტი სერგო ჭილაია.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორთა დასწრება სავალდებულოა.

ოთხშაბათს, 16 თებერვალს გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია იწვევს საკუთარ კორესპონდენტთა რესპუბლიკურ თათბირს.

საკუთარ კორესპონდენტთა დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი რედაქტორი [illegible]

თეატრებში

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 12-II **„აბესალომ და ეთერი"** (6 აბ. 8 წარმ.), 13-II დღისით **„ბახჩისარაის შადრევანი"**, საღამოს **„ოტელო"** (8 აბ. 8 წარმ.);

რუსთაველის სახელობის — 12-II **„ქეთევან დედოფალი"** (14 სერ. 6 წარმ.), 13-II დღისით **„ქეთევან დედოფალი"**, საღამოს **„საპატარძლო აფიშით"** (15 სერ. 6 წარმ.);

მარჯანიშვილის სახელობის—12-II **„გულსუნდა"** (18 სერ. 6 წარმ.), 13-II დღისით **„ცეკვის მასწავლებელი"**, საღამოს **„რკინის პერანგი"** (1 სერ. 6 წარმ.);

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — 12-II **„ნათელა"** (8 აბ. 7 წარმ.), 13-II დღისით **„ნათელა"**, საღამოს **„მზის დაბნელება"** (7 აბ. 8 წარმ.).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ გეოგრაფია-გეოლოგიისა და ბიოლოგიის ფაკულტეტების გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 28 თებერვალს, დღის 12 საათზე სააქტო დარბაზში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მიხეილ სიმონის-ძე ერისთავი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Грузинская глыба и смежные области в нижнемеловое время"**.

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი-დოქტორი **ალ. ჯანელიძე**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი-დოქტორი **ივ. კაჭარავა**, პროფესორი-დოქტორი **ივ. კახაძე**, [illegible]

[illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 110.000 უე 00715